ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 13178/01
26/12/2019

13178-01-2-201912261145

შპს „პ08“-ს დირექტორს
ბატონ დემურ დიასამიძეს
მის: *ქ. ბათუმი, დაბა ხელვაჩაური, აღმაშენებლის ქ. N34*

ბატონო დემურ,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 11 დეკემბრის №18030 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ბათუმში, რაფიელ ერისთავის ქუჩა N29-ში ავტოგასამართი სადგურის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები:

- განცხადებაში მოცემული უნდა იყოს მანძილი საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე;
- წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების პირველი აბზაცის მიხედვით, შპს „პ08“-ს დაგეგმილი აქვს ავტოგასამართი სადგურის მოწყობა, თუმცა განცხადების მეორე აბზაცში მითითებულია, რომ „ჩარდახის ქვემოთ განთავსდა სარკოფაგის ტიპის რკინაბეტონის მიწისქვეშა ბუნკერი ნავთობპროდუქტების ავზი-რეზერვუარებითა და გაცემის სვეტით“. შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული ინფორმაცია;
- ინფორმაცია ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედების და მისი მართვის/განთავსების შესახებ;
- წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სალექარში გაწმენდილი წყლის მართვის შესახებ;
- ინდუსტრიული-საწარმოო ზონის გათვალისწინებით, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციის ეტაპზე კუმულაციური ზემოქმედების შეფასება;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, ტერიტორიაზე დაგეგმილია ბენზინის, დიზელის და გათხევადებული აირის რეალიზაცია. თუმცა, გათხევადებულ აირთან დაკავშირებით არ არის მითითებული რა მოცულობის ავზში მოხდება მისი განთავსება.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, უზრუნველყოთ დაზუსტებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენა სამინისტროში, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ზემოაღნიშნული ინფორმაცია.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე